№ 229. 1 ნოემბერი, კვირა. 1866—1881 1 ნოემბერი, კვირა. № 229.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან სოლოზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შესწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 4 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
პირველი აბონემენტის რიცხვში

I

**შეშლილია!**

დრამა 2 მოქმედ., ფრანცუზულიდამ.

II

ცოცხალი სურათები

1) წყაროსთან (მეორეჯელ)
2) ცელქი ყმაწვილი.
3) ფული თუ სიყვარული?

III

პარიჟელი ბიჭი

კომედია 2 მოქმ., ნათ. დ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 7 1/2 საათზე.

## ტელეგრამმები

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 29 ღვინ. გარდასწყვიტეს ექსპერტებმა: დაადგინონ ტაქცია ვედრობით ღვინის გაყიდვაზედ, დაუდვან საზოგადოებას გალად თვალ-ყური ადევნონ სასმელების გაჭირობას, გაჭირობის ნება ებრაელებსაც მისცენ, თუ ესენი იქნებიან ამორჩეული.

კამისია, რომელმანც უნდა განიხილოს სატამოჟნო ტარიფები, გაიხსნება 5 ნოემბერს.

**პარიჟი**, 29 ღვინ. ფერრის კაბინეტმა წარუდგინა რესპუბლიკის პრეზიდენტს მინისტრობიდამ დათხოვნის ქაღალდი. გრევისთან მოლაპარაკების შემდეგ, გამბეტა შეუდგა ახალი სამინისტროს შედგენას.

**კარსლრუე**, 30 ღვინ. დიდმა გერცოგმა, ავად-მყოფობის გამო სახელმწიფო საქმეების განმგებლობა გარდასცა თავის მემკვიდრეს.

## იმერული „დანოსები“*)

თბილისი, 31 ღვინობისთვეს.

ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი იმერელი მღვდლის, ბლაღოჩინის, სახელად ათანასე სოხალეიშვილის (არ ვიცით—ნამდვილია ეს გვარი, თუ მოგონილი) დანოსი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელზედ, ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების თაობაზედ. ეს დანოსი სულიერ მამას „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა შინა“ წარუდგენია.

ბევრი საძაგლობა რამ არის ამ დანოსში, ისეთი საძაგლობა, რომ პატიოსანსა და ჩირქით არ გასვრილ კაცს არა თუ დაწერა, წაკითხვაც კი უნდა შეეზიზღოს.

მ. ბლაღოჩინი სწერს, როდესაც იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ მოვიდა ჩემს საბლაღოჩინოში, თვითონ და თავის კაცების პირით გამოგვიცხადაო, რომ „ვინც სემინარიის წინაალმდეგი იქნებით, გაგაუბედურებთო, უმაღლესის მთავრობისაგან უფლება მაქვს მონიჭებული გაგპარსოთო, ჯოხის ქნევით გვემუქრებოდაო.“ და ერთის სიტყვით „შეშინებით და ძალდატანებით“ დაგვათანხმა, თორემ ეს „ოხერი სემინარია“ რად გვინდოდაო, ვინ დათანხმდებოდაო და ბევრი სხვა ამ გვარებია მოხსენებული იმ საძაგელ „დანოსში“, რომლის მოყვანა ჩვენ სათაკილოდ მიგვაჩნია.

დიდის უსიამოვნებით უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ გვარი „დანოსები“ ერთობ ხშირად იწერება და იგზავნება ხოლმე განსაკუთრებით იმერეთიდამ სხვა-და-სხვა ხშირად პატივცემულ პირებზედაც.

გვრცხვენიან, რომ ვამბობთ ამას, მაგრამ ბოროტება და სისაძაგლე გამოაშკარავებული და საქვეყნოდ გამოცხადებული სჯობიან დამალულსა და დაფარულს ყველა, ვინც თავის პირად სარგებლობას ვერ მიაღწევს ყველა ანგარ მოყვარეობასა და სხვა პიროვნულ ანგარიშებს ვინმე წინ აღუდგება, ჩაიკეტება ოთახში, ჰკიდებს კალამს ხელს, გამოცვლილის ხელით სწერს „დანოსს“, დაბეჭდებს და გზავნის, საცა რიგია.

ამ გვარი მოქმედება სულის სიმცირეს, სულ მდაბლობას ამტკიცებს იმ კაცისას, ვინც ამ გვარ ხელობას ეტანება. პატიოსანი, კეთილ-განზრახი კაცი თავის დღეში ქვეშ-ქვეშა გაიძვერულ, გველურ მოქმედებას არ იკადრებს; ის პირ-და-პირ გამოვა მოედანზე, პირ-და-პირ ეტყვის თავის მოწინაალმდეგეს, რაცა აქვს სათქმელი, პირ-და-პირ იმოქმედებს.

ხშირად ეს „დანოსები“ უყურადღებოდ, უპასუხოდ რჩება; მაგრამ, საუბედუროდ, ხანდისხან იმათ ყურადღებასაც აქცევენ და ტყუილ-უბრალოდ აწუხებენ, შეურაცხყოფას აყენებენ იმ პირს, ვიზედაც ის დაუწერიათ სხვა-და-სხვა ბნელეთის გმირთა.

ყოველი ქართველი თანაუგრძნობდა იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგებასა და მეცადინეობას ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების საქმეში. ყოველი იმის მოქმედება ამ შემთხვევაში საქვეყნოდ სწარმოებდა; საქვეყნოდ უქადაგებდა ის მღვდლებს ამ სემინარიის სარგებლობასა, იმის სიტყვები გაზეთებში იბეჭდებოდა,—და, ქებისა, თანაგრძნობისა და დიდების ღირსის მეტსა, ვერვინ ვერაფერს ვერ დაინახავს გაბრიელ ეპისკოპოსის მოქმედებასა და სიტყვებში.

მაგრამ, ჩვენდა სასირცხოდ, აქაც კი გამოჩნდა იმისთანა პირი, და უბრალო პირი კი არა, სულიერი მამა, ბლაღოჩინი,—რომელიც ათას საძაგლობას სწერს და აბეზღებს ეპისკოპოსს იმის მთავრობასთან.

იმედი გვაქვს, სინოდის კანტორა ამ „დანოსს“ არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს, რადგან დანოსის კილოდამ დაინახავს — თუ რა შვილისაგან არის დაწერილი, რა ჭკუისა და რა სინიდისის პატრონის კაცისაგან.

*) საკვეხნელად უნდა მიგვაჩნდეს, რომ სიტყვა „დანოსი“ ქართულად არ ითარგმნება, არა გვაქვს ამგვარი სიტყვა. საუბედუროდ ახლა იმერეთში ყველამ ზედ-მიწევნით იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. რედ.

## «დროების» ფელეტონი, 1 ნოემბერ.

### თეატრის ქრონიკა.

ბ. კორინთელის ქალის ბენეფისი

27 ოქტომბერს ბ. კორინთლის ქალის ბენეფისი იყო.

დიდის ჭაპანწყვეტით წინანდელზე ცოტათი უფრო მომეტებული ხალხი მოაგროვეს.

არ ვიცით—როდის გატყდება ეს ნავსი, რომელიც ასე მძიმედ აწევს ჩვენს ტრუპპას, მაგრამ ვაი ჩვენი თეატრის ბრალი, თუ ასე გაგრძელდა საქმე.

ორივე პიესა—„კიდევ ერთი მსხვერპლი, სამ-მოქმედებიანი კომედია ბაბრ. სუნდუკიანცისა და ა. ციფიანისაგან გადმოკეთებული ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“ — ორივე პირველად წარმოადგინა ჩვენმა ტრუპპამ და ამიტომ იძულებული ვართ ყურადღება მოვთხოვოთ მკითხველს კომედიის შინაარსისათვის.

მოქმედება სწარმოებს მე-60 წლებში, როდესაც ახალი აზრები და ახალი მიმართულება შეეტაკება ძველს აზრებსა და მიმართულებას.

პიესაში გამოხატულია სამი ოჯახი, რომლებიც ყველაზე უპირველესად ოქროს კერპსა სცემენ თაყვანს. **ოჯახი სერგეი დანილიჩისა**—მოხუცისა, რომელსაც საკმაო სიმდიდრე შეუძენია თავის სიცოცხლეში; ყველანი პატივს სცემენ იმათ. როგორც თავის ტანისამოსი გაუხდია და ევროპიული ჩიუცვამს, ისე ადვილად მიაჩნია თავისი ძველი სახელის და საქმეების ვასუფთავება. მაგრამ ღმერთმა დასაჯა ისა: იმის შვილი ვანო იმდენად უნიჭო გამოდგა, იმდენად გამოტვინებულია მამის სურვილით, რომ ახალ მოდურად განათლებული კაცი გამოიყვანოს, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს მამის მოლოდინს. საწყალი ვანო სჩივის თავი გუფთად დამიჭრესო. ის მიეჩვია მხოლოდ საყვარლებზე ფულების ხარჯს კეთილ-შობილ დუქნებში: „სან-სუსში“, „კინგრუსტში,“ „ელდორადოში“ და სხვ.

ბრილიანტოვის ქალი — ნატო — თავის ძმის სურათია. ტანცი, ბალები, ვეჩერები რამდენიმე ახალ მოდური ფრაზები—ეს არის სულ იმის საქმე. ის ოცნებობს თ. რემიანსკის შერთვას და ამ ქორწინებით ჰგონია, რომ ის თავის ოცნებით ცხოვრებას მიაღწევს, ე. ი. მუდამ კონცერტებს გამართავს, ბალებს, ისეირნებს კნიაზთან ხელი-ხელში გაყრილი ბულვარზე კაბის შრიალით და კნიაზის დეზების ჩხარა-ჩხურით.

მგონია, ამ გვარ ხალხისაგან კაცი ბევრს არაფერს არ უნდა მოელოდეს; მაგრამ რადგან ისინი ყოვლისფრით დაჯილდოებული არიან ბუნებისაგან, ამის გამო კომედიის ორი უმთავრესი პირის ხარბი თვალები ამათკენ არის მიქცეული: სარქისასი და სალომე სურათოვისა, რომელთ შინაურ ცხოვრებაზედაც აქ ორიოდე სიტყვას ვიტყვით:

სარქისს გამდიდრება ჰსურს, მხოლოდ სიმდიდრეში ჰხედავს ის ბედნიერებას, მაგრამ, როცა თავის პლანების შესრულებას შეუდგება, უეცრად შვილი გადაუდგება გზაზე, უწყებს წინაალმდეგობას. მიხეილს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია, და რომელიც ეწინაალმდეგება ჩირქიან ცხოვრების მოთხოვნილებას, არ შეუძლია თანაუგრძნოს მამის განზრახვას, რომ ნატო ბრილიანტოვისა შერთოს ცოლად. წიგნებით ნასწავლ მიხეილს, და არა ცხოვრებით გამოცდილს, პატიოსან რწმუნებითა და იდეალებით აღჭურვილს, არ უნდა მამის სურვილზე გაიაროს, თავის აზრის-და-გვარად უნდა მოქმედება. მაგრამ იმას დაავიწყდა, რომ ბრძოლაში საჭიროა თავის მოწინაალმდეგის ძალ-ღონის გაცნობა, შეტყობა იმის იარაღისა, წინაალმდეგ შემთხვევაში იმას ათასი დაბრკოლება მოელის.

რომელსამე სურათოვის ოჯახში მიხაილმა ნახა ქალი, რომელიც თანაუგრძნობდა იმის პატიოსან ოცნებას; მიხეილმა გაუხსნა, შეუმუშავა ანანის ტვინი და გონება; მაგრამ

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა: საჭიროა, კანტორამაც, და ყოვლად-უსამღვდელოესმა საქართველოს ეგზარხოსმაც და საზოგადოდ საერო და სასულიერო მთავრობამ საქვეყნოდ გამოაცხადონ, რომ ამ გვარ „დანოსებს" და დაბეზღებას არასოდეს მსვლელობა არ მიეცემა, რომ ყოველ გვარი უსახელო წერილი უპასუხოდ, უყურადღებოდ იქნება დაგდებული. იქნება მაშინ მაინც მოიშალონ ზოგიერთ იმერლებმა ეს საძაგელი ჩვეულება, რომელიც ქართველის სახელს არცხვენს ჩირქსა სდებს.....

## ახალი ამბები.

ყველანი სახლის სიძვირეს უჩივიან ჩვენს ქალაქში. გასაკვირველი ეს არის, რომ გაუწყნარებლივ ახალი სახლები შენდება, ძველებს უმატებენ, ბევრს იმედი ჰქონა, რომ დიდის მთავრის ნამესტნიკის წასვლის შემდეგ სადგომები გაიაფდება, მაგრამ არა ეშველა-რა. თუ მუდამ არ მატულობს, არ კლებულობს სახლის ქირა.

* * *

ოზურგეთიდამ იწერებიან გაზეთს „კავკაზში", რომ 1877 წელს დაფუძნდა აქ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, ამბობენ, ახლაც არსებობს ეს ბანკიო, მაგრამ იმის მოქმედება არავის არას რგებსო, რადგან წევრებს ფული არ გამოაქვსთ იქიდამაო.

* * *

ახალ-სენაკის მაზრის სოფ. ნაესაკოვიდამ გვწერენ, რომ, ზოგიერთ პირების თაოსნობით, შარშან აქ სკოლა გამართესო, მცხოვრებლებმა დიდის სიამოვნებით მიაბარეს თავის შვილებიო (ვაჟებიც და ქალებიც არიანო), მაგრამ მასწავლებელს ემდურიან და ამის გამო ხალხმა სკოლაზე როგორღაც გული აიცრუვაო.

* * *

მომავალ ორშაბათს ქალაქის რჩევაში შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

მოხსენება ქალაქის გამგეობისა ცხენის რკინის გზის თაობაზედ;

ქალაქის შემოსავალ-გასავალი 1882 წლისა;

მოხსენება გამგეობისა საქალაქო ბანკის შესახებ;

მოხსენება გამგეობისა ნატალია შიოევის ანდერძზედ;

მოხსენება გამგეობისა სიონის ქუჩის გაფართოებისათვის ადგილების შესყიდვაზედ და სხვ.

* * *

სუჯუნის სოფლის სკოლის მასწავლებელი (ახალ-სენაკის მაზრისა) შემოგვჩივის, რომ ერთი იქაური მცხოვრები გადაჰკიდებია და რამდენიმეჯერ დაუბეზღებია ის ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების დირექტორთან.

* * *

პარასკევს 30 ამ თვეს რუსულ თეატრში წარმოადგინეს ბ. სუმბათოვის ახალი პიესა. ხალხი ჩვეულებრივ ძალიან ცოტა იყო და თითონ წარმოდგენამაც უმადურად ჩაიარა.

თითონ პიესა წარმოადგენს რაღაცა ამოკრეფილ სცენებს, ლაპარაკს, რომლებიც გადაუბმელად მიდიან და შეიცვლებიან ერთი-მეორით. ამას დაუმატეთ ის უნიჭოება, რომელსაც შეადგენენ ეხლანდელი, თფილისში მყოფი რუსის აქტიორები და თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა შთაბეჭდილება უნდა გამოეტანა ამ საღამოს საზოგადოებას.

გვინდოდა პიესის შინაარსის გადმოცემა, მაგრამ როგორ გადმოსცეს კაცმა იმ პიესის შინაარსი, რომელიც არ არის დაფუძნებული რომელიმე აზრზედ, არ მიმდინარეობს რომელიმე შემაერთებელის ძაფით და ყოველ მოქმედებაში ახალ-ახალი სცენა იწყება, ახლად იკვანძება პიესა.

ჩვენ-და-სამწუხაროდ, ამ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა ერთმა ჩვენმა არტისტმა ბ. ქ. ყიფიანმა, რომელმაც აიღო ყმაწვილი-კაცის როლი და აასრულა ცუდად. რად იღებს ეს ჩვენი ნიჭიერი აქტიორი თავის თავზედ ისეთს როლს, რომელიც არ ეთანხმება არც იმის მიხრა-მოხრას, არც ენას, მაშინ როდესაც ქართველ და სომხის მოხუცებულების როლის შესრულებით აღტაცებაში მოჰყავს საზოგადოება.

* * *

გაზეთს „შრომაში" დაბეჭდილია:

„პეტერბურღიდგან გვწერენ, რომ იქაურს მაღალს სასწავლებლებში მოსწავლე ჩვენებური ყმაწვილები ერთობ გაჭირვებულ მგომარეობაში არიანო. საშუალება, რომელიც მათ ან შინიდგან ეგზავნებათ, ან ხაზინიდგან ეძლევათ, სრულიად არ ყოფნისთო. საზოგადო სიძვირის გამო და მეტადრე სადგომების სიძვირის გამო, ისინი იმისთანა ადგილებზედ არიან დაბინავებული, რომ ერთობ მოშორებული არიანო შუა ქალაქს, სადაც არის უმაღლესი სასწავლებლები, ბიბლიოთეკები და სხვა სწავლის შესაძენი დაწესებულება."

* * *

ამავე გაზეთში იწერებიან:

„ერევანელმა ჩვენის სააღგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებამ გარდაწყვიტა, რომ საქალებო გიმნაზიას ბანკის შემოსავლისაგან ყოველ წლივ 1200 მანეთი ეძლეოდესო, რომ ამ ფულით გიმნაზიას შეეძლოსო ყოველ წლივ თავნისა და სარგებლის გადახდა იმ ვალის გასასტუმრებლად, რომელიც გიმნაზიამ საკუთარის შენობის გადასადიდებლად უნდა ისესხოსო. ამასთანავე კრებამ ერთ-ხმად გამოაცხადა, რომ ამ ფულს იმ პირობით ვუნიშნავთ გიმნაზიას, რომ ქართულის ენის სწავლება იქ უფრო რიგიანად მიდიოდესო, წინააღმდეგს შემთხვევაში ხსენებულს ყოველ-წლიურს შესაწევარს მოუსპობთო.

ჩვენ ძალიან გვიკვირ ამ გიმნაზიის ხელმძღვანელებისაგან, რომ ისინი ამ საქალებო გიმნაზიის მოზდილს მოწაფეებს ქართულის წიგნებისა და გაზეთების კითხვას უკრძალავენ, ან არადა ამ საკითხავების მიღებას უსპობენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წიგნებისა და გაზეთების კითხვა ენის შესასწავლი საშუალება არის და ბანკის კრებას რომ ზემოხსენებული პირობა კიდეც არ დაედვა, მაშინაც არ უნდა ჰსპობოდათ უმაღლესის კლასსების მოწაფეებს ქართულის კითხვის საშუალება."

## გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვა

მოგვყავს ეს მშვენიერი სიტყვა გაზ. „შრომიდამ", რომელიც ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა სამეგრელოს სამღვდელოების კრებაზედ, როდესაც ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნაზედ იყო სჯა.

აი ეს სიტყვა:

„ძმანო და მამანო! აწინდელი თქვენი კრება არა გავს სხვათა უწინდელთა კრებათა. დღევანდელს კრებაზედ თქვენ უნდა იქონიოთ მსჯელობა დიდს და განსხვავებულს საგანზედ. უთუოდ თქვენ გაგონილი გაქვთ ან წაგიკითხავსთ გაზეთებში, რომ წარსულს 25-ს აგვისტოს იმერეთის სასულიერო სასწავლებლის მაზრის დეპუტატებმა ერთის ხმით გარდასწყვიტეს, ქ. ქუთაისს სემინარიის დაარსებისათვის შესწირონ ყოველ წლივ იმ

---

გარ-შემოცულ საზოგადოებისა და ცხოვრების საბრძოლველი იარაღი ვერ მისცა.

აი მიზეზი, რომლის გამოთაც საწყალი ანანი ხდება თავის დედის ვერცხლ-მოყვარეობის **მსხვერპლად.**

მეორე მსხვერპლი კომედიაში არის მიხეილი, რომელმანც ვერ ასწონა თავის ძალა.

სარქისი, რომელსაც ჰსურს მიხეილს ნატო ბრილიანტოვის ქალი შერთოს, ანანისკენ გზას ულობავს. და ამ საქმეში სარქისმა იშოვა ჩინებული თანაშემწე—თითონ ანანის დედა—სალომე, რომელიც იმისთანავე თაყვანის-მცემელია ოქროს კერპისა, სიმდიდრისა. როდესაც სალომე სტეფან დანილიჩ ბრილიანტოვისაგან ნიშნის ბეჭედს მოუტანს ანანისა და გამოუცხადებს, რომ იმის თავს ითხოვს თავის ვაჟის სულელ ვანოსათვის, ანანის ეს ისე ეუცხოება, რომ ბეჭედს გადააგდებს. ამ დროს, უეჭველია, ანანის აგონდება ის პატიოსანი ქადაგება და იდეალები, რომელიც ასე ხშირად დაუხატავს იმისთვის მიხეილს. დედა ჯავრობს, ამას, ავიწყდება გუშინდელი ქება მიხეილისა და უბრძანებს თავის ქალს ამოიღოს მიხეილი გულიდამ და იმის ადგილი ვანოს დაუთმოს თავის გულში. ანანი ეწინააღმდეგება, მაგრამ როგორ გაუძლებს ის დედის სურვილს, როგორ შეიძლებს იმის საუკუნოებით გამაგრებულ ხასიათის წინააღდგომას

საქმე მუქარით იწყება; მაგრამ მუქარა ვერას ჰშველის. მშობლები სხვა იარაღს ჰკიდებენ ხელს: უხსნიან, რომ სიღარიბეში, გაჭირებაში არიან და იმათი დახსნა და შველა დაღუპვისაგან მხოლოდ ანანის სულ-გრძელებას შეუძლია, თუ ის ვანოს გაჰყვება.

რა გზა აქვს ანანის? მამის დახმარების იმედი იმას არ აქვს. ის უცხადებს მიხეილს თავის მდგომარეობას; მაგრამ პირველად ვერც ის ჰშველის: იმის მაგიერად, რომ აუხსნას, რომ მსხვერპლი აქ საჭირო არ არის. მიხეილი დაუწყებს ყვედრებას, არ გიყვარვარო და შენი თავი ვერ დაგიცავსო. თუმცა ბოლოს ეუბნება, წავიდეთ, გავიქცეთო და ჯვარი გადავიწეროთო, მაგრამ გვიან-ღა არის. ბრძოლისაგან და დედის ჩიჩინისაგან დაუძლურებული ანანი ვეღარ ეწინააღმდეგება მშობლებს გამოართმევს ბეჭედს და ამით გათავდება ყველაფერი. ის ზნეობით მოკვდა; მაგრამ ოჯახი კი დახსნილია სიღარიბისაგან. და სულგრძელებით თავის-თავის მსხვერპლად შეწირვაში თავდება საწყალი ქალის სიცოცხლე.

ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა ამ კომედიას, რომ „კიდევ ერთი მსხვერპლის" მაგივრად, **კიდევ ორი მსხვერპლი** ერქვას სახელად, რადგან ერთის მხრით, თვითონ ანანი იმსხვერპლა დედამ და მეორეს მხრით, თვითონ მიხეილიც ცოტ-ცოტათი საზოგადოების მსხვერპლად იქცევა.

მართალია, ამ წამებულთ აზრები შემდეგში დაფასდება; ჯერ ამ ჟამადაც ხედვენ ოქროს კერპის თაყვანის-მცემელნი, რომ ვერ გასტეხეს ახალ-გაზდობა, რომელიც თხოულობს პატიოსან შრომას, დამოუკიდებელ ცხოვრებას, საზოგადოების საქმეების სამსახურს და არა ოქროს კერპისას. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ჯერ კიდევ ბევრი მსხვერპლი შეიწირება ახალ-თაობისაგან, სანამ ის მიაღწევს იმ დრომდინ, როდესაც ადამიანი მხოლოდ თავის ადამიანურის ღირსებით დაფასდება; და არა ოქროს ტომრის სიდიდითა.

რაც შეეხება კომედიის წარმოდგენას, ამ თავითვე დიდის მწუხარებით უნდა ალვიაროთ, რომ დღემდინ ჩვენი ძებნა დრამატიულ აქტრისისა ამაოდ რჩება.

პირველად სცენაზე გამოსულის კ-ქნა რუსიევ-პორჩიბაშევისთვის ძალიან სამძიმო იყო ანანას როლის შესრულება. დებიუტანტკას გარეგან სილამაზეს არ ამკობდა ხელოვნური თამაში (რომელიც ძნელად მოსათხოვარიც იყო) და არც ის ნაპერწკალი ურომლოთაც, ხელოვნებას მოკლებული მოთამაშე, ვერასოდეს ვერ შეასრულებს რიგიანად დრამატიულ როლს. იქნება ხანგრძლივის მეცადინეობით, კარგად თავის როლის შესწავლითა და უფრო ხშირის რეპეტიციებით იმდენად გავარჯიშდეს კ-ქნა რუსიევ-პორჩიბაშევისა, რომ დააკმაყოფილოს სცენის მოთხოვნილება, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ვურჩევთ რეჟისორს, ნუ დაასუსტებენ ამ გვარ მოთამაშეების მხნეობასა და

ჯამაგირის ნახევარი, რასაც ხაზინიდგან მიიღებენ ვიდრემდის შენაწირისაგან არ შესდგება თავნი 333,000 მანეთი, მაგრამ დაუმატეს, რომ სამეგრელოს სამღვდელოებასაც ეთხოვოს, რათა იგინიც ძმურად შემოგვიდგნენ, წინააღმდეგს შემთხვევაში მარტო ჩვენ არ შეგვიძლია ამისთანა დიდის საქმის შესრულებაო.

„ახლა თქვენზედ არის დამოკიდებული, აღსრულდება, თუ არა, ეს დიდი საუკუნო და საშვილიშვილო საქმე. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ უკან არ ჩამორჩებით იმერეთის სამღვდელოებას, არ ჩაიგდებთ თქვენს თავს პასუხის გებაში მრთელის საქართველოს საზოგადოების წინაშე, არ ათქმევინებთ ქვეყანას, რომ თქვენ გახდით მიზეზი ამისთანა დიდის და სასიქადულო საქმის დარღვევისა. მე ისე დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ თქვენ ამ საქმეში უარს არ იტყვით, რომ მინდოდა პირველი კრება ამ დიდს საგანზედ აქ მომეხდინა, მაგრამ მერმე მომივიდა აზრში, რომ არ ეწყინოს იმერეთის სამღვდელოებას თქო, და იქ, ქუთაისში, მოვიწვიე პირველი კრება ამ საგანზედ.

„იქონიეთ მხედველობაში პირველად ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლას ამ ჩვენს დროებაში კაცის სულიერისა და ხორციელის განათლებისათვის. იგი არა თუ მარტო სულიერს ხასიათს გამოუცვლის კაცს, არამედ შეეწევა მას ნივთიერს ცხოვრებაში. სემინარიაში სწავლა დასრულებული კაცი ყოველთვის იშოვის თავის სარჩოს ქვეყანაზედ. მეორედ, გახსოვდესთ, რომ თქვენთვის, თქვენის შვილებისათვის ქუთაისში სემინარიის დაარსება უფრო საჭიროა, ვინემ იმერეთის სამღვდელოებისათვის, თქვენ უფრო შორს ხართ თფილისიდგან, თქვენთვის უფრო გასაჭირია თფილისში შვილების გაგზავნა და შენახვა, ვინემ იმერეთის სამღვდელოებისათვის. თქვენი შვილები უფრო ხშირად ავად ხდებიან და კვდებიან თფილისში, ვინემ იმერეთის სამღვდელოების შვილები, მაშინ, როდესაც საკვირველნი ნიჭიერნი არიან, სწავლა ძალიან კარგად შეუძლიანთ. ჭეშმარიტად სამწუხარო არის, რომ ამდენი ნიჭიერნი, კარგად სწავლის შემძლებელნი ბავშები გამოდიან აქედგან და ივიწყებენ ყოველს სწავლას, ვინაიდგან თფილისში სწავლისათვის წასვლა არ შეუძლიანთ.

„ბოლოს დავამატებ, რომ რაზომც დარწმუნებული ვარ თქვენზედ, ეგზომ გამახარებს თქვენი ამ საგანზედ თანხმობით გამოცხადება, ისე მივიღებ თქვენ თანხმობის თქმას, ვითომც ჩემთვის გეჩუქებიოსთ ის ფულები.

„რვა წლის მეტი არ არის, რაც მე სამეგრელოს ეპარხია ჩავიბარე. ამ მოკლეს დროში დიდი ვერაფერი შევიძელი თქვენი წარმატებისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სუყველანი ხედავთ და გრძნობთ, რომ მე დიდი მეცადინეობა მაქვს თქვენის ბედნიერებისათვის და წარმატებისათვის. სხვათა-შორის ის მცირე შემწეობა, ხაზინიდგან რომ გამოგივიდათ, ჩემის დაუცხრომლის მეცადინეობისგან იყო. ამის შემდეგაც თქვენის წარმატების მეცადინე ვიქმნები, რადგანაც ღვთის შემწეობით ჯერ კიდევ კარგა ხანს შემიძლია შრომა და მეცადინეობა. ახლა დაბრძანდით და თავისუფლად, თვინიერ ყოვლის მალ-დატანებისა, ანუ იძულებისა ერთმანეთის შორის, შეადგინეთ, სურვილისა და აზრისა მებრ თქვენისა, განჩინება ამ საგანზედ.“

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ამ სიტყვის შემდეგ სამეგრელოს სამღვდელოება დათანხმდა მიიღოს შესაფერი მონაწილეობა იმერეთის სამღვდელოებასთან ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების ხარჯში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ოზურგეთი 25 ოქტომბერს.** დ-დი ხანია, რომ ოზურგეთში საქალებო სკოლის დაფუძნება განიზრახეს და ფულიც მოკრიბეს გასახსნელად. გურიის მცხოვრებნი სიხარულით მოველოდით ამისთანა მოსალოდნელსა, რომ ჩვენი შვილებისათვის ცოტა ანა-ბანა მაინც ვვესწავლებია (რადგანაც სხვაგან წაყვანა არ ძალგვიძს), და ამიტომაც სასოებით ვსთხოვდით ღმერთსა სამმართველო წევრებისაგან კეთილად საქმის წაყვანას. მაგრამ, რაღაცა მიზეზის გამო, ჯერ ჯერობით სკოლის დაფუძნება გაჭირდა. საზოგადოებამ თუ ხუთი-ექვსი წლის წინეთ სკოლის გახსნისათვის ფულების მოკრება მოიფიქრა, იმ ფიქრზე ისიც უნდა მოეფიქრებინა, თუ ვისთვის მიენდო შეგროვილის ფულით ფრიად საჭირო სკოლის დაფუძნებაზე ზრუნვა.

ახლა გურიაში, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, ყველანი ფიქრობენ, როგორმე თავის შვილებს რამე ასწავლონ და სასწავლებლებში შეიყვანონ. ამი დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგში გარემოებას სამოქალაქო სასწავლებლისას.

მაგრამ არა ვგონებ, რომ საზოგადოება ამისთანა საჭირო და ყურადღების მისაქცევ საქმეზე ზრუნავდეს (უმეტესად საზოგადოების წარმომადგენელნი). უწინდელ აქაურ მაზრ. უფროსის ბ. ვახრამოვის დროს მოკრიბეს შვიდასი მანეთი. ომიანობის დროს ბ. დადიანის დროს (ახლანდელი მაზრის უფროსი) ათასი მანეთი. ფულის მოკრების დროს ამორჩეულნი იყვნენ თავს-მჯდომარედ ქ—ბ. სოფიო გურიელისა, რჩევის წევრებად ქ—ბ. მაკა წულუკიძისა, მოქალაქენი და სხვანი ბევრნი პირნი სამხედრო და სამოქალაქო ნაწილისანი, რადგანაც საზოგადოებამ ისინი ამოირჩია მზრუნველებად. სამწუხაროდ ჩვენდა არც ეგენი ზრუნვენ. ზოგნი მდიდრებნ არიან თავისთვის კი კარგად არიან და მათი შვილების აღზრდა კი შეუძლიანთ სხვა უმთავრეს ქალაქებში და სასწავლებლებშიაც; რომ არ გამოზარდონ, მათ შვილებს შეუძლიან თავისი მამულით ირჩინონ თავი. ამას არ ფიქრობენ, რომც ღარიბმა თავის შვილს ცოტა წერა კითხვა ასწავლოს და იმით ნუგეში მიიღოს. ზოგნი წევრთაგანნი არიან ვაჭარნი იგინი ამისთვის არა ზრუნავენ. შეგროვებული ფული აქვს უეზდის მმართველს ბ. დ—ნს (1000 მ.) ფულის მოთხოვნა ეშინიან, თუ იწყინა ყოველ დღეობით მაზარალებსო; ზოგნი არიან გარეშე პირნი რომელნიც არც ვაჭარნი არიან და არც აქაური დამოუკიდებელი ხასიათის პატრონნი; მაგრამ ამისთანა ცოტანი არიან და არაფერი გაუდით მათის თანამოწევრეთ გულ გრილობის გამო. შევიტყვეთ კიდევ რომ ქუთაისის გუბერნატორს განუზრახავს ყოველ წლიური სამასი მანეთის შემოწირვა, თუ აქ საქალებო სასწავლებელი გაიხსნებაო (გაიმართებაო) და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, ბ. არლოვს, ამის შესახები საქმეები, ამ სკოლის გახსნაზე, მიუნდვია აქაური სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისთვის ბ. ბირშერტისთვის. ახლა, თუ ეცდებიან, აქაური ადმინისტრაციის შემწეობით ზემოხსენებულნი წევრები ადვილად შესძლებენ სკოლის დაფუძნებას. საჭიროა მხოლოდ, რომ ამორჩეულმა წევრებმა ამოიღონ „ხმა“... სანამ ეს სურვილი შეგვისრულდებოდეს ჩვენ ვამბობთ: „მოგვიხსენე ჩვენ უფალო

---

იმედს ამ გვარად მოუმზადებლად სცენაზე გამოშვებით.

ბატონმა აბაშიძემ, რომელიც თფილისის ვაჭრების როლს მუდამ კარგად ასრულებს ამ საღამოს ჩვეულებრივზე უფრო კარგად აღასრულა ზოგიერთა ადგილები. განსაკუთრებით კარგად ითამაშა ის ადგილი, საცა სარქისი თავის შვილს ელაპარაკება. მაიძვერა ვაჭრის სიბრძნე, რომელიც კომედიის ავტორმა ასე კარგად გამოსახა ამ პიესაში, აბაშიძემ მშვენიერის ქცევით და ხმით გამოსახა, აგრეთვე ის ადგილი, საცა მიხაილის ცოლის შერთვინება უნდა ჩაშალოს და ვანოსადმი პასუხის მიცემა, როცა ის ეპირებოდა გამოეკითხა იმისთვის ვისი რჩევით გაიპირა მამამ იმისი ჯვარის დაწერა ანანასთან.

სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ ბაბუნიას ქალს ამ საღამოს ღირსეულად ერგო ის ტაშის-კვრა, რომლითაც საზოგადოებამ ის დააჯილდოვა. მხოლოდ ერთხელ, როცა იმან გადააჭარბა თამაშს, მგორ სიმონიჩთან ლაპარაკის დროს, მარტო გალლერეიამ დაუკრა იმას ტაში. დანარჩენ ადგილებში კი ის ერიდებოდა მარტო გალლერეის ტაშს. კიდევ ცოტა მეცადინეობა, ქალბ. ბაბუნია, და თქვენ განავითარებთ თქვენს თამაშს, ნაცვლად იმისა, რომ გააფუჭოთ ხელოვნება და ცუდ გუნებაზე დააყენოთ ნამდვილი სცენის დამფასებელნი.

საფაროვის ქალმა ეს მეორეჯერ დაუფარა საზოგადოებას ის მხიარულება, რომლითაც წინად საზოგადოებას ართობდა. ზოგიერთა ადგილებს მშვენიერად ასრულებდა, მაგრამ საზოგადოდ ამ საღამოს ჩვენ ვერ დავინახეთ იმის თამაშში ის, რასაც ჩვენ დაგვაჩვია ჩინებულმა არტისტკამ.

არ ველოდით, მაგრამ მძინაროვის ქალმა კარგად ითამაშა ის სცენა, საცა იმასა და შვილს შორის ლაპარაკია გამართული. მსრეთივე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე ბატ. მოხევემ, რომელმაც სინიდისიანად და გრძნობით აღასრულა ბრილიანტოვის როლი.

ბ. შიშნიევმა გვარიანად აღასრულა მგორ სიმონიჩის როლი, ის ადგილი, როცა უხასიათო და სულელი ბებერი ფიქრობს შვილის ქორწინებაზე, სხვა ადგილზე უფრო კარგად აასრულა. კარგს იზამდა ბ. შიშნიევი, რომ ძალას არ ატანდეს სიტყვების გამოთქმას და დასტოვებდეს იმ სურვილს, რომ სიტყვების ერთ-გვარად გამოთქმით პიესას კომედიის ხასიათი მიექცეს.

ბატ. ყიფიანმა არც ეხლა იცოდა როლი, როგორც რიგია. სულელი ვანოს როლის თამაში არ შეიძლება ბევრის შეჩერებით ლაპარაკის დროს. როლის დასაწყისი კარგად ითამაშა კარგი მოსამსახურის (მესხის) წყალობით.

დასასრულ, სიამოვნებით ვხედავთ, რომ ბ. ალექსეევი-მესხიევი თან და თან უფრო იმსახურებს საზოგადოების თანაგრძნობას.

მამის საძაგელი საქციელის გამოაღელვება, მიხეილის ხასიათის კარგი მხარეები ძლიერ ძნელი ასასრულებელი არიან, მაგრამ ბატ. ალ. მესხიევმა მაინც კარგად აასრულა. მჭირება მხოლოდ ენის შესწავლა, რადგანაც მონოლოგებში შეჩერება შეუძლებელი საქმეა.

ჩვენ უნდა მადლიერნი ვიყვნეთ ქალბ. ბენეფიციანტკისა, რომელსაც თავის ბენეფისისთვის ესეთი პიესები ამორჩევია.

საზოგადოებამ არა-ერთხელ გამოუწოდა პიესის ნიჭიერ ავტორს, ბატ. სუნდუკიანცს.

ვოდევილი კარგად ითამაშეს აბაშიძემ, კორინთლისამ, ბაბუნიას ქალმა, ყიფიანმა. ბატ. ყიფიანმა კარგად წარმოადგინა დამთვრალი კაცი და ბაბუნიას ქალმა აქაც შეიკავა თავი გადაჭარბებიდამ. ქალბ. კორინთლისამ თავისუფალი თამაშით და სცენაზე რიგიანად თავის დაჭერით ყველას ასიამოვნა. აბაშიძემ ხალხი სიცილით დახოცა, როცა იმან სტაქანი წყალი დალია.

ქალის ტანისამოსები კარგი იყო, მაგრამ, როგორც გვითხრეს ეს ტანისამოსი ტრუპპას ძლიერ ძვირად დაუჯდა. ჩვენ გვითხრეს, რომ ბატ. მოხევე, რომელმაც ბათუმიდგან მოიტანა რამდენიმე ხელი ტანისამოსი და შემოსწირა თეატრს, აპირებს შემოაწირვინოს საზოგადოებას ტანისამოსი, თუ კამიტეტი მისცემს მას სიას. ვგონებთ შეუძლებელი არ იყოს რა ა[illegible]სიის მიცემაში.

ემ[illegible]

„ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!" ყოველ სიკეთის გარედ, ამდონ ხანს (ხუთ-ექვს წელიწადს) შეგროვილ ფულებმა, ნეტავ, რა ისარგებლა? ბ. მახრამოვის დროს შეკრებილი 700 მანეთი სად არის? ბოლონდელი შეკრებილი ათასი მანეთი ბ. დადიანს აქვს.

სხვა ქალაქში და სხვის ხელში რომ ყოფილიყო ჯეროვანს სარგებელს მოიტანდა. და აქ კი თითქმის დაკარგვისაც გვეშინია!..

სასურველია, რომ ამ საქმეს ეხლა თავის გულსმოდგინე ყურადღებას მიაქცევდეს აქაური საზოგადოება. „ადგილი მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო", ამის თქმისა არ იყოს—თქვენ სკოლა გვიჩვენეთ და მოსწავლეთა გროვას ჩვენ მოგგვრით.

გიორგი.

---

# განცხადებანი

თფილისის სააზნაურო სკოლაში საჭირონი არიან ორი განათლებული აღმზრდელი ქალი მსურველს შეუძლიან თხოვნის შეტანა მოხსენებულ სკოლაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზედ. (ძველი ინსტიტუტის ქუჩა № 19).

---

# აბონემენტი

ქართული თეატრისა

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

ფასი დაკლებულია:

| | | |
|---|---|---|
| ლიტ. და შუა ლოჟ. | 54 მ.—60 მ. | |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ.—42 მ. | |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ.—48 მ. | |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ.—18 მ. | |
| კრეს. 2 და 3 რიგისა | 10 50 მ. კ. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { გ. აბაშიძე, კ. მესხი.

---

მიაქციეთ ყურადღება! საკუთარ თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ერევნის მეიდანზედ. ყოველთვის ვიღებთ ჩვენგან იჯარით აღებულის სალიანის წყლებიდამ ახალ-ახალს ქიტკას, ხიზილალას, დოშს და ზურგიელს. ისყიდება პარტიათ და წვრილათაც. აქვე ისყიდება მოხარშული დოშეული, (5—4)

---

ორი ყმაწვილი კაცი

ამზადებენ ბავშვებს გიმნაზიის პირველ ოთხი კლასებისთვის. ადრესის დატოვება შეიძლება „დროების" რედაქციაში. (4—2)

---

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში

გადმოვიდა ცენტრალური

# სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, გარანცოვის მეგლის პირ-და-პირ, ლიხათანსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით შემიმკია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით ძრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—7) ლევან ოლახერაშვილი.

---

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად.

ინგლისის მაღაზიაში.

(40—1)

---

**ОКОНЧИВШІЙ** курсъ въ **высшемъ** учебномъ заведеніи, **опытный** въ преподаваніи, предлагаетъ услуги въ качествѣ учителя, воспитателя и репетитора въ казенныхъ и частныхъ, мужск. и женск. учебн. заведеніяхъ. Письменно: Сололаки, Вознес. ул., домъ Попова № 30, Ник. Гавр. Дмитріеву. (3—1)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—32)

---

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—12)

---

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—53)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ-ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ.

(100—31)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავახის გიარები.

(100—41)

---

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.

(100—78)

---

ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | 3½ |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

---

...по цензурою. Тифлисъ, 31 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი